მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქე მირანდა კიკალიას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 12 464 (თორმეტი ათას ოთხას სამოცდაოთხი) ლარით აღემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას. თუმცა განმცხადებელი ამასთან დაკავშირებით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებით ადასტურებს, რომ თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, ამასთან, მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა და მისაღებად მიიჩნია აღნიშნული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების: „საკითხის შეთანხმების“ ჩამატება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართვა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 7 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემას შემდეგ საკითხზე: ქალაქ თბილისში, ოქროყანა, „გ“ ზონაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 455 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.208) გაცვლის ფორმით პრივატიზებას, გიორგი კუსიანის (პ/ნ 38001048859) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანის, „ავშნიანში“ არსებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.41.529) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, მოქალაქე გიორგი კუსიანმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქ. თბილისში, სოფელ გლდანში, „ავშნიანში“, მის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, - ქ. თბილისში, ოქროყანა, „გ“ ზონაში არსებულ 455 კვ.მ მიწის ნაკვეთში. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნევს ქ. თბილისში, ოქროყანა, „გ“ ზონაში არსებული 455 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვას, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ამასთანავე, სააგენტოს მოსაზრებით, აუცილებელია, რომ მიმდებარე გზის სიგანე შეადგენდეს 8,5 მეტრს, შესაბამისად, - აღნიშნულ ნაკვეთთან მიმართებაში უნდა შენარჩუნდეს დადგენილი პარამეტრი;
- ✓ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ოქროყანა, „გ“ ზონა, 455 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 99 190 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით. აღნიშნული მიწის ნაკვეთი მიეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 3-ს (კ-1 0.5; კ-2 1.5; კ-3 0.3), ხოლო, მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,

მდებარე: ქ. თბილისი, სოფ. გლდანის, „ავშნიანში“ მდებარე, 600 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 46 800 (ორმოცდაექვსი ათას რვაასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული მიწის ნაკვეთი განეკუთვნება რეკრეაციულ ზონა 3-ს (კ-3 0.3; კ-2 1; კ-3 0.6).

მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.15.08.001.208 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 52 390 (ორმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარით აღემატება მოქალაქე გიორგი კუსიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, ამ უკანასკნელის 2021 წლის 03 სექტემბრის განცხადებით გამოხატული თანხმობის გათვალისწინებით, მისი მხრიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უნდა განხორციელდეს არანაკლებ 52 390 (ორმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარის გადახდა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურის გამართულობისა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებისა და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 8 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ, კორპუსი N33, სართული 4, ბინა N17-ში მდებარე 134.08 კვმ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე გიორგი ცხომელიძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებით არსებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

✓ ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი ცხომელიძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის კორპუსი N33, სართული 4, ბინა N17-ში მდებარე 134.08 კვმ უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ საკითხის

შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა, მოკვლევით მიღებული შემდეგი ინფორმაცია:

✓ დაინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგა საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ადასტურებენ, დაინტერესებული პირის მიერ მისამართზე 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტს, რასაც ასევე ადასტურებს, ვაკის რაიონის გამგეობა-ნუცუბიდის მიკრორაიონების საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი წერილი;

✓ საჯარო რეესტრის ინფორმაციით, მოქალაქე გიორგი ცხომელიძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის;

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, გიორგი ცხომელიძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებისა და პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 9 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიდის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.013) სართული 2, ბინა N13-ში მდებარე 132.86 კვ.მ ფართის მოქალაქე ქეთევან იდაძისთვის, რომელიც წლებია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ვაკის რაიონის გამგეობას მიმართა მოქალაქე ქეთევან იდაძემ და ითხოვა მის მიერ დაკავებული ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორპუსი N33-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოკვლეულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, ვაკის რაიონის გამგეობის, შესაბამისი საუბნო განყოფილების მიერ გადამოწმების შედეგად, დადგენილ იქნა მოქალაქის მიერ, ზემოაღნიშნულ მისამართზე 2010 წლიდან ცხოვრების ფაქტი, მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით აცხადებენ, რომ ქეთევან იდაძე 2008 წლიდან ნამდვილად ფლობს განცხადებაში მითითებულ მისამართზე არსებულ ფართს.
- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით ქეთევან იდაძე არ არის რეგისტრირებული.
- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით ქეთევან იდაძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის მართებული სახით ჩამოყალიბება და პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №22, მე-3 სართული, 34.10 კვ.მ. ფართის (ს/კ: №

01.19.21.002.061.01.512) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ხანგრძლივი დროით მცხოვრები მოქალაქე რიტა კამკამიძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე რიტა კამკამიძემ განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას მის მიერ დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების მიზნით, უფლემოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შედეგად, გამოკვლეულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია, რაც, შემდეგომში წარედგინა ქალაქ თბილისის მერს:

✓ **დაინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში 1995 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაციით, რასაც ასევე ადასტურებს, სამგორის რაიონის გამგეობის ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი აქტი და მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №22-ში, მე-3 სართულზე მდებარე 34.10 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მოქალაქე რიტა კამკამიძისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“; ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის პირველი სექტემბრის № 21.1189.1334 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 11 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა N24, პირველი სართული, 60.53 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი:

N01.18.03.068.007.08.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ზაალ დალაქიშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ზაალ დალაქიშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N24-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნულის გათვალისწინებით, გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა საკითხთან დაკავშირებით გამოკვეთული შემდეგი ინფორმაცია:

✓ დაინტერესებული პირის მიერ 1993 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, აღნიშნულს ასევე ადასტურებენ სანოტარო წესით დამოწმებული აქტით;

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურისა და პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვა, მათი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-6 მ/რ, კორპუს N30ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.008.050.01.521) პირველ სართულზე მდებარე 25.39 კვ.მ ფართის უძრავი ქონების

მოქალაქე მაკა ამაშუკელისთვის, რომელიც 1997 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მაკა ამაშუკელმა და ითხოვა მის მიერ დაკავებული ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-6 მ/რ, კორპუს N30ა-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შედეგად, მოკვლეულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

✓ დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 1998 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, აღნიშნული ფაქტი ასევე დადასტურდა გამგეობის მიერ, გადამოწმების შედეგად, ხოლო, ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობა „დიოსკურიას“-ს კრების ოქმი #10-ით ამხანაგობის წევრები ადასტურებენ, მაკა ამაშუკელის 1997 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;

✓ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე მაკა ამაშუკელს დადგენილი აქვს მარტოხელა მშობლის სტატუსი;

✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით: მაკა ამაშუკელი და ლუკა ამაშუკელი არ არიან რეგისტრირებულნი;

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით მაკა ამაშუკელის და ლუკა ამაშუკელის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, ხოლო, პროექტის პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 13 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების, - მდებარე: ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.302), სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად შემდეგ პირთათვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

1. ანნა უბილაგასთვის - ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N18-ში, პირველ სართულზე მდებარე 26.33 კვ.მ ფართის უძრავი ქონება;
2. თინა მოდებამე - ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N18-ში, პირველ სართულზე მდებარე 76.67 კვ.მ ფართის უძრავი ქონება.

მომხსენებლის განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა ანნა უბილაგამ და თინა მოდებამე, მათ მიერ, ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაციით, თინა მოდებამე ზემოაღნიშნულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობს 2008-2009 წლიდან, ხოლო, ანნა უბილაგა 2009 წლიდან. თინა მოდებამის მიერ 2008 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა დადასტურდა, გლდანის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილების მიერ ადგილზე შემოწმების შედეგად, ასევე, ნოტარიული წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თანადგომა“ -ს 2021 წლის 24 თებერვლის კრების ოქმის საფუძველზე, ადასტურებენ ამხანაგობის წევრები, ხოლო, ანნა უბილაგას 2009 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს როგორ გამგეობის შემოწმები აქტი, ასევე, ნოტარიული წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თანადგომა“ -ს 2021 წლის 24 თებერვლის კრების ოქმი;

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მათი ოჯახის წევრების სახელებზე, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

✓ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით: ანნა უბილაგა და მისი ოჯახის წევრები დევნილთა ბაზაში არ არიან რეგისტრირებულნი.

✓ დაინტერესებულ პირთა ოჯახის წევრები აცხებენ თანხმობას, უძრავი ქონების ანნა უბილაგასა და თინა მოდებამის სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 14 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N19 (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.041), ხანგრლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- ✓ მოქალაქე ნანა ჭეხაშვილისთვის - 121.44 კვ.მ. ფართის;
- ✓ მოქალაქე კახაბერ აბუანდაძისთვის - 75.75 კვ.მ. ფართის;
- ✓ მოქალაქე გიორგი თამლიანისთვის - 105.13 კვ.მ. ფართის;
- ✓ მოქალაქე მამუკა ჯავახიშვილისთვის - 66.27 კვ.მ. ფართის;
- ✓ მოქალაქე ვერიკო მჭედლიშვილისთვის 97.28 კვ.მ. ფართის;

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს, 16 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, საკითხის გამგეობის მიერ, შესწავლის შედეგად, მოკვლეულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ ნანა ჭეხაშვილი, კახაბერ აბუანდაძე, გიორგი თამლიანი, მამუკა ჯავახიშვილის ვერიკო მჭედლიშვილი ოჯახებთან ერთად 2005 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით ადასტურებენ დაინტერესებულ პირთა მიერ 2004 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, ხოლო, სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების ოქმით დგინდება, რომ მითითებული პირები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2008 წლიდან;
- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, დაინტერესებულ პირთათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და

შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 15 საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ზაპესში, თავისუფლების ქუჩა N13ა-ში, მე-6 სართულზე მდებარე 81.44 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N72.12.03.001.01.031), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების გზით, მოქალაქე ნანა ქავთარაძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობას მიმართა ნანა ქავთარაძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის, მხრივ, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამოვლინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- ✓ დაინტერესებული პირის მიერ ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან მოქალაქეები სასოციალურ წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ მოქალაქე ნანა ქავთარაძე 1986 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, რასაც ასევე ადასტურებს გამგეობის გლდანისხევის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტი;
- ✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქე ნანა ქავთარაძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ნანა ქავთარაძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ გლდანის რაიონის გამგეობამ, საკითხთან დაკავშირებით, წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ დამატება, ხოლო, პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 16 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების, - მდებარე: ქ. თბილისი, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N18 (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.019.01.509 და N01.11.04.005.019.01.510), სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები, მოქალაქეების: მალხაზ ბოდოლაშვილისთვის - 17.71 კვ.მ ფართის, ხოლო, კობა ბოდოლაშვილისთვის - 13.41 კვ.მ ფართის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობას კოლექტიური განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა პირებმა და ითხოვეს მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, საკითხის გამგეობის მიერ, შესწავლის შედეგად, მოკვლეულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

✓ დაინტერესებული პირების მიერ საცხოვრებელ ფართებში 1989 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IV სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ხოლო, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ დაინტერესებულ პირთა 1984 წლიდან ცხოვრების ფაქტს, აღნიშნულს ასევე ადასტურებს გლდანის რაიონის გამგეობის მიერ გაცემული ცხოვრების ფაქტის შემოწმების აქტი.

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირების სახელებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის;

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, მალხაზ ბოდოლაშვილი და კობა ბოდოლაშვილი არ არან რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 17 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.139.01.522) 1 სართულზე მდებარე 68,59 კვ.მ ფართის უძრავი ქონების მოქალაქე ნათელა ნადირაძისთვის, რომელიც 1998 წელიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნათელა ნადირაძემ და ითხოვა მის მიერ დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შედეგად, მოკვლეულ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

✓ დაინტერესებული პირის მიერ უძრავ ქონებაში 27 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, სამგორის რაიონის გამგეობის, შესაბამისი საუბნო განყოფილების მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, ნათელა ნადირაძე 1995 წლიდან ცხოვრების ფაქტი; დაინტერესებული პირი არის სოციალურად დაუცველი და მარტოხელა.

✓ მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით ადასტურებენ დაინტერესებული პირის მიერ 1998 წლიდან ცხოვრების ფაქტს;

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნათელა ნადირაძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საკითხთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების

პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, პროექტის სათაური გაიმართოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, ხოლო, პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაური.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 18 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N2-ში, მე-2 სართულზე, მდებარე 28.07კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.038.01.603) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნანა ციცხვაიასთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე ნანა ციცხვაიამ წერილობით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას და ითხოვა ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა; აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გლდანის რაიონის გამგეობამ, საკითხის მოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა შემდეგი სახის ინფორმაცია:

✓ დაინტერესებული პირის მიერ, 2009 წლიდან უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-X სამართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაციითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით;

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ნანა ციცხვაიაზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.;

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და

საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ნანა ციციშვილი და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებული არ არიან;

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკური თვალსაზრისით გამართვა, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 19 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების I შესახვევი N7, პირველი სართული, 108.80 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.070.01.503) ბინის მოქალაქე დავით კაცაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა და მისი ოჯახის წევრებმა გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით და ითხოვეს მათ მიერ ფაქტობრივად 2005 წლიდან დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შედეგად, მოკვლეულ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

✓ დაინტერესებული პირის მიერ 2005 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადატურებს შსს-ს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე, მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება.

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ გლდანის რაიონის გამგებელმა, საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების საკითხის შეთანხმების ჩამატება, ხოლო, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 20-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლება, შემდეგი 30 (ოცდაათი) მოქალაქისათვის (30 ოჯახისათვის), ქალაქ თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული ფართობებით (საერთო ჯამში - 1856.59 კვ.მ ფართი) პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- ლევანი გიგოლაშვილის - 96.02 კვ.მ, წარმოადგენს ომის ვეტერანს;
- ლევანი გიგოლაშვილა და ვალერიანე ჯავახაძეს თანასაკუთრებაში დაკავებული ფართი - 18.86 კვ.მ, ვალერიანე ჯავახაძე მსახურობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, წარმოადგენს სერჟანტს;
- ჯურბა მეტონიძე - 171.99 კვ.მ; არის ომის მონაწილე, ვეტერანი; აღნიშნული პირის სახელზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით, საბინაო ფონდიდან სამხედრო მოსამსახურეზე გაცემულ იქნა გახოკიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართის განაწილების შესახებ მიღება - ჩაბარების აქტი N159;
- ხათუნა გუშარაშვილს - 61.41 კვ.მ; ლიდა შათირიშვილს - 54.19 კვ.მ; ზურაბ წიკლაურს - 39.11 კვ.მ; ბეჟანი ტალიკაძეს - 54.56 კვ.მ; გიორგი გელდიაშვილს 70.63 კვ.მ; არის ომის მონაწილე, ვეტერანი; ნანა ელბაქიძეს - 62.7 კვ.მ; დიანოზი გეთიაშვილს - 62.38 კვ.მ; თემური დარჩიაშვილს - 31.46 კვ.მ; გიორგი ზაკალაშვილს - 53.80 კვ.მ; აზა ხაბულიანს - 75.59 კვ.მ;

ბონდო სვანიძეს - 22.06 კვ.მ; იზოლდა ჯაბანიშვილს - 39.49 კვ.მ; ვალერიანე ყურაშვილს - 88.36 კვ.მ; ეკატერინე ბურჯანაძეს - 14.79 კვ.მ; მარინე გალელაშვილს - 26.65 კვ.მ და 22.77 კვ.მ; მარიამი წიკლაურს - 64.73 კვ.მ; რაჟდენი აბდალაძეს - 86.05 კვ.მ; წარმოადგენს ომის ვეტერანს; გიორგი ზაკალაშვილს - 28.72 კვ.მ; მაკა ბალახაძეს - 81.78 კვ.მ; შოთა წერუაშვილს - 78.99 კვ.მ ; სოფიო წერუაშვილს - 47.06 კვ.მ; ვალერიანე გიორგაძეს - 52.3 კვ.მ; შოთა ჭინჭარაულს - 126.83 კვ.მ; წარმოადგენს ომის ვეტერანს; აღნიშნული პირის სახელზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით, საბინაო ფონდიდან სამხედრო მოსამსახურეზე გაცემულ იქნა გახოკიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართის განაწილების შესახებ მიღება – ჩაბარების აქტი N205;

▪ ლაშა სანიკიძეს - 33.9 კვ.მ; ლალი შაორშაძეს - 67.9 კვ.მ; მსახურობს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შემადგენლობაში; მარინე ალიაშვილს - 42.01 კვ.მ; შორენა ბაიაძეს - 2003 წლიდან მსახურობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში;

მომხსენებელმა გააცნო კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით არსებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

▪ სამგორის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და აცნობა, რომ გამგეობას წარედგინა ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, სამხედრო დასახლებაში არსებულ შენობაში 2006 წლიდან მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე ოჯახების განცხადებები, რომლებმაც ითხოვეს, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა;

▪ გამგეობის მიერ შესწავლილ იქნა საკითხთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთათვის შუამდგომლობის გაწევა, შესაბამისად, გამგეობამ, ზემომითითებული წერილებით, ქალაქ თბილისის მერს და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შუამდგომლობით და ითხოვა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირებისათვის საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით;

▪ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა მიერ, საცხოვრებელ ფართებში 2006–2009 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი–სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ხოლო, გამგეობიას მე–3 მასივის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი შემოწმების აქტებით დასტურდება 2004 – 2009 წლებიდან დაინტერესებულ პირთა მიერ, უძრავ ქონებებში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ამასთან, მეზობლები სანოტარი წესით დამოწმებული განცხადებებით ადასტურებენ 2006–2012 წლებიდან ცხოვრების ნამდვილობას.

▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ლევანი გიგოლაშვილს საკუთრებაში ერიცხება ადიგენის რაიონში, სოფელ უდეში, სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ჯამში 4000 კვ.მ მიწის ფართობი; ჯურბა მეტონიძეს საკუთრება ერიცხება ამბროლაურის რაიონში, სოფელ სადმელში სასოფლო–სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთები; დიანოზ გეთიაშვილს საკუთრებაში ერიცხება გურჯანის რაიონში, სოფელ ჯიმითში, 1790 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი; აზა ხაბუღიანის ოჯახის წევრს ზურაბ ზურაბიანს საკუთრებაში ერიცხება ლენტეხის რაიონში, სოფელ ტვიბში მდებარე მიწის ნაკვეთები, ხოლო, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული სხვა პირებისა და მათ ოჯახის წევრების სახელებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების სტილისტურად გამართვა, ასევე დიანოზი გეთიაშვილისათვის გადასაცემი უძრავი ქონების – ს/კ: 01.19.19.005.057.03.033 კვადრატულობის ოდენობის ნაწილიში ნაცვლად - 62.38 კვ.სა უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის წარმოდგენილი განკარგულების დანართ N1-ში - 62.37 კვ.მ;

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები და შემდეგი ინიციატივით მიმართა კომისიის წევრებს:

იმ პირთა ნაწილში, რომელთა სახელზეც თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ იქნა გახოკიდის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართების სარგებლობაში გადაცემის შესახებ ბინის მიღება-ჩაბარების აქტები, მიზანშეწონილია, აღნიშნულ მოქალაქეებთან უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულ იქნას იმ საპრივატიზებო პირობით, რომ შესაბამისი მოქალაქეები, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების სანაცვლოდ უარს აცხადებენ თავდაცვის სამინისტროს მიმართ რაიმე მოთხოვნაზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მითითებულის შესაბამისად, მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი N2-ის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი დარედაქტირდეს იმგვარად, რომ ხელშეკრულება იყოს არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური ხასიათის (თითოეულ დაინტერესებულ პირთან გაფორმდეს ინდივიდუალურად), ხოლო, ზემომითითებულ მოქალაქეთა ნაწილში, ხელშეკრულების პროექტში ზემოაღნიშნული საპრივატიზებო პირობა განისაზღვროს ხელშეკრულების მე-4 მუხლის (მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები) შესაბამისი პუნქტის სახით.

კომისიის წევრებმა გაიზიარეს საკითხის მომხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების/მომხსენებლის ინიციატივის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.02.501) 1 სართულზე მდებარე 81.12 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე მერაბ რაზმაძისთვის, რომელიც 2006 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა ისნის რაიონის გამგეობას მიმართა განცხადებით და ითხოვა მის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შემდგომ, წერილობითი შუამდგომლობა წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, სადაც გამგეობა აცხადებს, რომ არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები ზემოაღნიშნული ფართის თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე გადმოცემაზე შემდგომში, მერაბ რაზმაძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების მიზნით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

✓ შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად 13 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მერაბ რაზმაძე 2006 წლიდან ცხოვრობს მისამართზე.

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მერაბ რაზმაძე არ ირიცხება დევნილთა ბაზაში.

✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მერაბ რაზმაძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის ხოლო, მაყვალა რაზმაძის სახელზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია: ქ. თბილისი, გიორგი წმინდის დასახლება, სანდრო კანდელაკის ქ. N65; საკადასტრო კოდი: 72.13.06.039; სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 589 კვ.მ;

✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „107ბ“-ს კრების ოქმზე დაყრდნობით, კრებამ ხმათა უმრავლესობით გამოხატა თანხმობა, რომ მოქალაქე მერაბ რაზმაძემ დაირეგისტრიროს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება ოქმზე თანდართული აზომვითი ნახაზის შესაბამისად, მდებარე ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში;

✓ შპს თბილგვირაბშენის მიერ გაცემულ ცნობაზე დაყრდნობით, მერაბ რაზმაძე მუშაობდა შპს „თბილგვირაბშენი“-ს სისტემაში, ჩაწერილი იყო „თბილგვირაბშენი“-ს საერთო საცხოვრებელ N2-ში, ყვარლის ქ. N107ბ-ში და ბინის მიღების აღრიცხვაზე იმყოფებოდა ოჯახის ოთხი წევრით (თვითონ, მეუღლე და 2 შვილი). მისი ოჯახი 2006 წელს შპს „თბილგვირაბშენი“-ს ადმინისტრაციის სიტყვიერი თანხმობით შესახლებულ იქნა საერთო საცხოვრებელ N2-ში, ყვარლის ქ. N107ბ-ში.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზაშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაური გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსს მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 22-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლების IV მ/რ, III კვარტალის კორპუსი N11ა-ში, 1 სართულზე მდებარე 58.87 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.17.10.004.004.01.510) ფართის უძრავი ქონების მოქალაქე მარიკა ლიპარტელიანისთვის, რომელიც 2005 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ თანხმობის გაცემას.

განმცხადებლის განმარტებით, ისინი რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მარიკა ლიპარტელიანმა და ითხოვა მის მიერ დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, მოკვლეულ იქნა ინფორმაცია:

▪ დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 2005 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის

სამმართველოს პოლიციის II განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერები, ისნის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია;

- ისნის რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები: აიზომოს აღნიშნული ფართი, დარეგისტრირდეს თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე და შემდგომში სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს მოქალაქე მარიკა ლიპარტელიანს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მარიკა ლიპარტელიანის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ჩვენი სახლი“-ს კრებამ სხდომაზე ხმათა 100%-ით დაადგინა: ამხანაგობა „ჩვენი სახლი“ არ არის წინააღმდეგი, რომ მოქალაქე მარიკა ლიპარტელიანს საკუთრებაში გადაეცეს საცხოვრებელი ფართი მდებარე ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლების IV მიკრორაიონის III კვარტალის კორპუსი N11ა-ში, I სართულზე, ბინა N9-ში.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მარიკა ლიპარტელიანს და მისი ოჯახის წევრებს არ აქვთ დევნილის სტატუსი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 23-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N3-ის მიმდებარედ, 50.66 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.254.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ირინე თუთბერიძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ირინე თუთბერიძემ და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობამ საკითხის მოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 6-7 წლის მანძილზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ შედგენილი ინფორმაციით, ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით ადასტურებენ, ირინე თუთბერიძის 2002 წლიდან ცხოვრების ფაქტს;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქე ირინე თუთბერიძის ოჯახის წევრის ამირან თუთბერიძის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია წყალტუბოს რაიონი, სოფელ გუმბრაში;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ირინე თუთბერიძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის სტილისტურად რედაქტირება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 24-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონში არსებული 168 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის, (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.148) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად -

1(ერთი) ლარად, მოქალაქე თამარ ქადარიასთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, საკითხის გამგეობის მიერ, მოკვლევის შემდგომ, შუამდგომლობა და შემდეგი მოძიებული ინფორმაცია წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 2005 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია და მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, თამარ ქადარიაზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, თამარ ქადარია დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტის სათაურში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 25-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ორხევის დასახლება (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174) სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად შემდეგ პირთათვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- 1) ლევან ხომასურიძისთვის - სართული 2, , 82.24 კვ. მ უძრავი ქონება;
- 2) არჩილ მენაბდესთვის - სართული 2, 40.29 კვ.მ უძრავი ქონება;
- 3) ვალერიან კვირიკაშვილისთვის - სართული 1, 54.45 კვ. მ, უძრავი ქონება;
- 4) მაკა ვაშაკიძისთვის - სართული 1, 40.33 კვ.მ უძრავი ქონება;
- 5) ნათია ბაზერაშვილისთვის - სართული 2, 51.15 კვ. მ, უძრავი ქონება;
- 6) მაგდა პირველისთვის - სართული 1, 104.34 კვ.მ, უძრავი ქონება;
- 7) მანონი ბაკარანძისთვის სართული 1, 40.64 კვ. მ უძრავი ქონება;
- 8) ნინო კობაიძისთვის - სართული 2, შენობა N2-3, 65.31 კვ.მ. უძრავი ქონება;
- 9) თამარ კერესელიძისთვის - სართული 1, 40.37 კვ.მ. უძრავი ქონება;
- 10) როინ მჭედლიძისთვის - სართული 1, 40.34 კვ.მ უძრავი ქონება;
- 11) ნასტია ლობჯანიძისთვის - სართული 2, 65.31 კვ. მ უძრავი ქონება;
- 12) შოია სანაძისთვის - სართული 1, 54.66 კვ. მ უძრავი ქონება;
- 13) მადონა ალავიძისთვის - სართული 2, 40.71 კვ.მ. უძრავი ქონება;
- 14) გია ჭიღვარიასთვის - სართული 2, 40.69 კვ.მ. უძრავი ქონება;
- 15) ლაშა ზიძინაშვილისთვის - სართული 2, 54.66 კვ. მ, უძრავი ქონება;
- 16) ია თვაურისათვის - სართული 1, 52.57 კვ.მ უძრავი ქონება.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას კოლექტიურად მიმართეს ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების მაცხოვრებლებმა და ითხოვეს, მათ ფაქტობრივ სარგებლობაში 1998-2005 წლებიდან არსებული საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად, პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- დაინტერესებული პირების მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადდგენს, შსს-ს მიერ გაცემული ინფორმაცია და მეზობელების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით, ამასთან, ზემოაღნიშნულ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგი.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქე ლევან ხომასურიძის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია გურჯაანის რაიონში, სოფელ კალაურში „კაკალას ახო“-ში მდებარე 6286 კვ.მ მიწის ნაკვეთზე;
- მოქალაქე ვალერიან კვირიკაშვილის თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩხუტელში მდებარე 3787 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ასევე, მისი თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩხუტელში მდებარე 5446 კვ.მ მიწის ნაკვეთზე;
- მოქალაქე მაკა ვაშაკიძის თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაიშში არსებულ 10000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე;
- მოქალაქე ნინო კობაიძის მეუღლის დიმიტრი ჭანჭალაიშვილის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ სამტრედიის, ამაშენებლის გამზირი N235-ში არსებულ 933 კვ.მ

მიწის ნაკვეთზე. ასევე თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლება, მერაზ კოსტავას ქუჩა N17-ში მდებარე 2350 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე. აგრეთვე, განმცხადებლის მეუღლის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქ სამტრედიაში, აღმაშენებლის გამზირი N235-ში არსებულ 100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ სამტრედიაში, აღმაშენებლის გამზირი N235-ში არსებულ 1363 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და ქალაქ სამტრედიაში, აღმაშენებლის გამზირი N235-ში არსებულ 1462 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე;

- მოქალაქე როინ მჭედლიძის თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ნიქოზში არსებულ 1229 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ 400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე;

- მოქალაქე გაია ჭიღვარიას ოჯახის წევრის თამარი სანთელაძის თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია ცაგერის რაიონში, სოფელ ლასხანაში არსებულ 4751 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე;

- მოქალაქე ლაშა ბიძინაშვილის თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია გურჯაანის რაიონში, სოფელ ჩალაუბანში არსებულ 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე;

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, მიზანშეწონილია, პროექტის სათაურში დაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების“ და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, ამასთან, პროექტის მე-2 პუნქტი გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით.

მომხსენებელმა ინიციატივით მიმართა კომისიის წევრებს, რომ გასწორდეს პროექტის დანართი N1-ში ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და მოქალაქე არჩილ მენაბდის (პ/ნ 33001019139) და ვალერიანი კვირიკაშვილის (პ/ნ 49001001857) სახელი და გვარი მიეთითოს მართებული ფორმით, მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შესაბამისად.

კომისიის წევრებმა გაიზიარეს მომხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება/ინიციატივა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების, ასევე მომხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრების/ინიციატივის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 26-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ქიზიყის 33, ქიზიყის 33ე, ქიზიყის 33ზ, ქიზიყის 33თ, ქიზიყის 45, ქიზიყის 45ბ, ქიზიყის 39, ქიზიყის 43, ქიზიყის 43დ (საკადასტრო კოდი: N01.19.24.006.002, N01.19.24.006.021, N01.19.24.006.015, N01.19.24.006.018, N01.19.24.006.013, N01.19.24.006.020, N01.19.24.006.003, N01.19.24.006.019, N01.19.24.006.016, N01.19.24.006.017, N01.19.24.006.005, N01.19.24.006.006, N01.19.24.006.022 სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად შემდეგ პირთათვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

1) ავთანდილ სირაძე – ქიზიყის ქუჩა N 33 სართული 1 ბინა N1 47.12 კვ.მ და ქიზიყის ქუჩა N 33-ე 1-ლი სართული ფართი 93,73 კვ.მ.

2) ოლეგი მკრტუმოვი - ქიზიყის ქუჩა N 33 სართული 1, ფართი 63.87 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N33 სართული 1, შენობა N1 ფართი 5.91 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N 33გ სართული 1, ფართი 59.4 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N33 სართული 1, შენობა N1, ფართი 5.76 კვ.მ;

3) ზამირ სუბელიანი - ქიზიყის ქუჩა N 39 სართული 1, ფართი 63.31 კვ.მ

4) ლუდმილა თუშიშვილი - ქიზიყის ქუჩა N33 სართული 1, ფართი 41.35 კვ.მ

5) რიმა აზნარაშვილი - ქიზიყის ქუჩა N33 სართული 1, ფართი 57.38 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N 33ზ ფართი 11.23 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N 33-თ სართული 1, ფართი 21.88 კვ.მ;

6) ზურაბ თუშიშვილი - ქიზიყის ქუჩა N 45, სართული 2 ბინა N7 ფართი 76.91 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა 45ბ სართული 2, ფართი 36.5 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N 45ბ სართული 1, ფართი 36.39 კვ.მ;

7) ხვიჩა გაფრინდაშვილი - ქიზიყის ქუჩა N45 სართული 2, ბინა N4, ფართი 75.27 კვ.მ;

8) თინათინი გიორგაძე - ქიზიყის ქუჩა N 45 სართული 1, ბინა N1, ფართი 69.15 კვ.მ

9) ბაბუღია ძირკველიშვილი - ქიზიყის ქუჩა N39 სართული 1, ფართი 41.3 კვ.მ;

10) ლიკა ძირკველიშვილი - ქიზიყის ქუჩა N39, სართული 1, ფართი 35.23 კვ.მ

11) მევლუდ ბედენეიშვილი - ქიზიყის ქუჩა N39 სართული 1, ფართი 46.55 კვ.მ.

12) ანაიდა გევორქიანი - ქიზიყის ქუჩა N43 სართული 1, ფართი 20.83 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N43 სართული 1, ფართი 27.91 კვ.მ; ქიზიყის ქუჩა N 43დ სართული 1, შენობა N1, ფართი 16.94 კვ.მ;

13) ნაირა მაზანიშვილი - ქიზიყის ქუჩა N39 სართული 1, ფართი 41.34 კვ.მ;

14) ხვიჩა თუთაშვილი - ქიზიყის ქუჩა N45 სართული 1, ბინა N2, ფართი 72.08 კვ.მ;

მომხსენებელის მითითებით, ზემოაღნიშნულმა პირებმა განცხადებით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას მიმართეს და ითხოვეს, 1956-2000 წლებიდან მათ ფაქტობრივ

სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად, პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამოკვლეულ იქნა შემდეგი გარემოებანი:

- დაინტერესებულ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა დასტურდება შსს-ს მიერ გაცემული ცნობებით;
- ამასთან, მოქალაქეთა ნოტარიულად დამოწმებული აქტებით დასტურდება დაინტერესებულ პირთა მიერ ცხოვრების საკითხი შემდეგი სახით: ნოტარიულად დამოწმებული ჩვენებებით დასტურდება, რომ ავთანდილ სირაძე, ლეილა ჩუბინიძე -1994 წლიდან, ანაიდა გეგორქიანი თინათინ გიორგაძე, რიმა აზნარაშვილი -1992 წლიდან, ბაბულია ძირკველიშვილი - 1961წლიდან, ზამირ სუბელიანი ნაირა მაზანიშვილი ხვიჩა გაფრინდაშვილი - 1993 წლიდან, ზურაბ თუშიშვილი მევლუდ ბედენიშვილი - 2000 წლიდან; ლიკა ძირკველიშვილი - 1988 წლიდან, ხვიჩა თუთაშვილი - 1998 წლიდან, ლუდმილა თუშიშვილი 1978 წლიდან, ოლეგი მკრტუშოვი - 1989 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;
- სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ოლეგ მკრტუშოვის საკუთრებაში ერიცხება ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N150-ში მდებარე N01.19.22.008.056 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 325 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთი; მევლუდ ბედენიშვილის თანასაკუთრებაში ერიცხება ოზურგეთის რაიონში, სოფელ შრომაში მდებარე მიწის ნაკვეთები, თინათინ გიორგაძის ოჯახის წევრს მეგი გიორგაძეს აქვს საკუთრებაში დიმიტრი უზნაძის ქუჩა N 11ა, 62.90 კვ.მ;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დანარჩენი დაინტერესებული პირების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ სამგორის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ზემოაღნიშნული პირებისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზება, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

საკითხის მომხსენებელმ მიმართ ინიციატივით კომისიის წევრებს, რომ გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დანართ N1-ში ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ზურაბ თუშიშვილის სახელი და პირადი ნომერი მიეთითოს აღნიშნული პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შესაბამისად.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის მომხსენებლის ინიციატივას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული ინიციატივის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის, რიგით - 27-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ, კორპუს N55-ში, 1 სართულზე, ბინა N4-ში მდებარე 46.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.060.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე **მადლენა ქორთიაშვილისთვის** პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მადლენა ქორთიაშვილმა და ითხოვა ხანგრძლივი დროის მანძილზე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ გამოვლენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმ-აფხაზეთის“ საერთო კრების ოქმის თანახმად, მოქალაქე მადლენა ქორთიაშვილი ზემოაღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს 2004 წლიდან.

- **სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.**

- **სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, მადლენა ქორთიაშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ ვაკის რაიონის გამგეობამ საკითხთან დაკავშირებით, წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტო, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაური ტექნიკურად გაიმართოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ლევან ჟორჯოლიანი

სხდომის მდივანი

თამთა კაკოიშვილი